კონკურსი „ვიცი კონსტიტუცია“				
ინიციატორი	*სსიპ ქალაქ ბათუმი N16 საჯარო სკოლა* *მე-10 კლასის მოსწავლე ანა მოგელაძე*			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	*სამოქალაქო განათლება სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიაა საზოგადოების მონაწილეობისა და ნდობის გასაძლიერებლად, ყველაზე ეფექტური გრძელვადიანი სამოქალაქო განათლება იწყება ახალგაზრდა ასაკში, მოსწავლეების აქტიურობა ამ მიმართულებით საჭიროებს მუდმივ მხარდაჭერას და სტიმულებს.*			
პრობლემის გადაწყვეტის გზა	*პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობისთვის ერთ-ერთი საინტერესო ბერკეტი იქნება რეგიონულ დონეზე კონკურსი საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის კონსტიტუციის თემაზე.* *კონკურსის მონაწილეები ერთმანეთს კონსტიტუციის ცოდნაში ბრეინ-რინგის პრინციპით შეეჯიბრებიან, კონკურსი შეიძლება იყოს ორეტაპიანი, პირველ ეტაპზე მოწავლეები მუნიციპალურ დონეზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს და გამარჯვებული გუნდები უმაღლეს საბჭოში გამართავენ ფინალურ შეჯიბრს.* *გამარჯვებული გუნდი წლის კონსტიტუციონალისტის წოდებას მიიღებს 1 წლის ვადით, კონკურსის გამართვა შეიძლება ყოველწლიურად.*			
მთავარი მიზანი	*იდეის განხორციელების შემთვევაში ახალგაზრდები აიმაღლებენ ცოდნას ქვეყნის სახელმწოფოებრივი მოწყობის, დემოკრატიული მმართელობის შესახებ. გაიზრდება საზოგადოებრივი ინტერესი ქვეყნის კანონმდებლობისა და მოქალაქეთა უფლებების შესახებ.*			
ღია მმართველობის პრინციპები *მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე, ჩამოთვლილიდან რომელ პრინციპს შეესაბამება ეს ვალდებულება*	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდე-ბულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
			×	
შესაბამისი SDG მიზანი *არასავალდებულო ველი*	**SDG** მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება			
განხორციელების ეტაპები	**დაწყება:**	**დასრულება:**	**ინდიკატორი**	
ეტაპი 1 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ვებ-გვერდზე: http://www.sca.ge/ - გამოაცხადებს კონკურსს საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებისთვის თემაზე: „ვიცი კონსტიტუცია“*	*01/10/2022*	*01/11/2022*	*კონკურსზე დარეგისტრირებული მონაწილეები*	
ეტაპი 2 *კონკურსზე დარეგისტრირებული მონაწილეებისთვის უმაღლესი*	*02/11/2022*	*01/02/2023*		

საბჭოს ვებ-გვერდზე: http://www.sca.ge/ ჩაშენდეს სპეციალური ველი, სადაც იქნება კონკურსისთვის მოსამზადებელი ყველა მასალა თავმოყრილი და ისინი იწყებენ მზადებას საკონკურსოდ.			
ეტაპი 3 *საქართველოს გასაბჭობის დღეს, 25 თებერვალს, მუნიციპალიტეტების დონეზე გაიმართება პირველი დონის კონკურსები, სადაც მონაწილოებას მიღებენ სკოლების მიერ დაკომპლექტებული გუნდები (4 წევრისგან შემდგარი გუნდი) და გამოვლინდება მუნიციპალიტეტის გამარჯვებული გუნდი*	*25/02/2023*	*25/02/2023*	
ეტაპი 4 *აჭარის უმაღლეს საბჭოში გაიმართება დასკვნითი კონკურსი, სადაც მონაწილოებას მიღებენ მუნიციპალიტეტებში გამარჯვებული გუნდები და გამოვლინდება წლის კონსტიტუცინალისტის წოდების მფლობელი გუნდი.*	*25/03/2023*	*25/03/2023*	